ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლაშა გვენეტაძის

ანგარიში

გაწეული სამუშაოს შესახებ

2025 წლის ნოემბერი 2026 წლის ოქტომბერი

მოგესალმებით!

მე გახლავართ ლაშა გვენეტაძე — ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კახიანაურისა და მუხნარის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. ამავდროულად, ვარ, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, ასევე ვარ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წევრიც.

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 88-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვალდებულებაა წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს, წარსდგეს ამომრჩეველთა წინაშე და მოისმინოს მათი კითხვები და ინიციატივები. სწორედ, ამ მიზნით წარმოგიდგენთ ანგარიშს 2025 წლის ნოემბრიდან 2026 წლის ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული საქმიანობის, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების შესახებ. ასევე, ამ ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მომზადდება დოკუმენტი მომდევნო, 2027 წელში განსახორციელებელი ინიციატივების და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

საკრებულოსა და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა 15 სხდომა, მათ შორის 13 რიგითი და 2 რიგგარეშე სხდომა. ამავე საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ბიურომ გამართა 28 სხდომა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია, ჩემთვის ყველაზე საინტერესო საქმეს წარმოადგენს, 22 წლიანი სამუშაო ისტორიიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალი ჩემთვის ის კომფორტია, რაშიც თავს რეალიზებულად ვგრძნობ.

იურიდიულ საკიხთა კომისია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს ბიუროს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს, განიხილავს სხვა სამართლებრივ კანონქვემდებარე აქტებს და მათთან დაკავშირებით ამზადებს შესაბამის მოსაზრებებსა და დასკვნებს.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საკრებულოს იურიდიული კომისიის 20 სხდომა, კომისიაზე განხილული იქნა 69 საკითხი. ამასთანავე, მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, სამსახურებისა და მერიის

მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შპს-ების ანგარიშები.

ამასთანავე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვარ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი. აღნიშნული კომისია ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია ზოგადად მუნიციპალიტეტის მართვაში, ამდენად ვთვლი, რომ ჩემი გამოცდილება, ზუსტად ამ კომისიაში გამოვიყენო.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ჩაატარა 16 სხდომა, განხილული იქნა 66 საკითხი.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ მიერ ჩატარებულ იქნა 6 სხდომა, განხილული იქნა 11 საკითხი.

მიმდინარე წელს, მონაწილეობა მივიღე „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის კონცეფციაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის შექმნილ სამუშაო ჯგუფი“-ს მუშაობაში. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავდა და საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინა სამართლებრივი აქტის პროექტი, რითაც დადგინდა ქალაქ ქუთაისში განაშენიანების მართვის რეგლამენტი, ქალაქმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტები, ქალაქის ფუნქციური ზონირება და ა.შ.

საკრებულოსა და კომისიების საქმიანობაში მონაწილეობა საშუალებას მაძლევს, აქტიურად ვიყო ჩართული მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული საკითხების განხილვაში, ადგილობრივი საჭიროებების წარმოჩენასა და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობაში.

სამაჟორიტარო ოლქში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები

საანგარიშო პერიოდში ჩემს სამაჟორიტარო ოლქში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობითი ღონისძიება. სამუშაოები მოიცავდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციას, ეზოებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, გარე განათების აღდგენას, წყალარინებისა და საკანალიზაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებას, ასევე ტერიტორიის დასუფთავებასა და გამწვანებას.

1. პროგრამა „კორპუსის“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები

პროგრამა „კორპუსის“ ფარგლებში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- **სახურავის სარემონტო მასალები გადაეცა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს** შემდეგ მისამართებზე: კუპრაძის ქუჩა №25; ახალგაზრდობის გამზირი №56 და №62; ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევი №4 და №8; წერეთლის ქუჩა №276ა; აბაშიძის ქუჩა №4.
- **სადარბაზოებში ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი** ბალანჩივაძის ქუჩა №2/2-სა და ახალგაზრდობის გამზირი №56-ში.
- **შეკეთდა სადარბაზოები და შეიცვალა კარები** გრიგოლ აბაშიძის ქუჩა №2-სა და ახალგაზრდობის გამზირი №84-ში.
- **სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტებს** შემდეგ მისამართებზე: ლეონიძის ქუჩა №4ა; აბაშიძის ქუჩა №2 და №4; ახალგაზრდობის გამზირი №56; ბალანჩივაძის ქუჩა №2/6 და ბალანჩივაძის ქუჩის II შესახვევი №6.
- **სარდაფებში დაგროვილი წყლის ამოსატუმბი საშუალებები გადაეცა** მახვილაძის ქუჩა №15-სა და №11-ში, აბაშიძის ქუჩა №4-სა და ლეონიძის ქუჩა №6-ში მდებარე საცხოვრებელ სახლებს.
- **სპორტული ტრენაჟორები დამონტაჟდა** ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევის №4-ისა და წერეთლის ქუჩა №192-ის მიმდებარედ.
- **დამონტაჟდა სკამები** წერეთლის ქუჩა №276ა-ს, ლეონიძის ქუჩა №5-ისა და მახვილაძის ქუჩა №3-ის მიმდებარედ.
- **რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაზიანებულ საკანალიზაციო სისტემას** გურამიშვილის ქუჩა №61-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში.

2. ეზოების, სკვერებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა

მოსახლეობისთვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დასრულდა სპორტის სასახლის რეაბილიტაცია, გაწეულია -1468,2 ათ. ლარის ღირებულების სამუშაოები.
- ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევის №29-ში მდებარე მინი სპორტულ მოედანზე მოეწყო ხელოვნური მწვანე საფარი.

- სკვერებში ახალი სკამები და ნაგვის ურნები განთავსდა ლეონიძის ქუჩა №2-ის, ბალანჩივაძის ქუჩა №2/2-ისა და ახალგაზრდობის გამზირი №98-ის (სპორტის სასახლის) მიმდებარედ.
- კეთილმოეწყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ეზო ახალგაზრდობის გამზირი №68-ში.
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა კიბეებს, რომლებიც ახალგაზრდობის გამზირი №92-დან მახვილაძის ქუჩა №15-მდე მონაკვეთზე მდებარეობს.
- აბაშიძის ქუჩა №2-ის მიმდებარედ, ე.წ. „პლაშადკის“ ცენტრში, მოეწყო უსაფრთხოების კუნძული.
- წერეთლის ქუჩა №161-ის საყრდენი კედელი გაფორმდა მურალით — „არგონავტები“.
- დაიწყო რეკრეაციული ზონის მოწყობა არხის მიმდებარე ტერიტორიაზე.
- მიმდინარეობს ფანჩატურის მოწყობა ახალგაზრდობის გამზირის V შესახვევის №14-ის წინ.

აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავს საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას, დასასვენებელი სივრცეების განვითარებასა და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის გაზრდას.

3. გარე განათების სისტემის მოწესრიგება

საანგარიშო პერიოდში აღდგა დაზიანებული გარე განათების სანათი წერტილები შემდეგ მისამართებზე:

- ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევი;
- ლეონიძის ქუჩა №2;
- ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევი №25;
- გურამიშვილის ქუჩა №61;
- ბალანჩივაძის ქუჩის II შესახვევი;
- ნეკრასოვის ქუჩა №37, №47, №12 და №31;
- ლეონიძის ქუჩა №1-ის მიმდებარე სკვერი;
- ახალგაზრდობის გამზირი;
- წერეთლის ქუჩა №276-ის მიმდებარე სპორტული მოედანი;
- წერეთლის ქუჩა №276-ის მიმდებარე ტერიტორია, კერძო სახლის სიახლოვეს;
- წერეთლის ქუჩა №192 და №276ა;
- კუპრაძის ქუჩა №79;

- მახვილაძის ქუჩა №7, №13 და №15;
- ახალგაზრდობის გამზირი №84 და №68;
- კუპრაძის ქუჩის XV შესახვევი №15.

გარდა ამისა, მუნიციპალური ა(ა)იპ-ის მიერ შეიცვალა 53 სანათი და ორ მისამართზე დამონტაჟდა დამატებითი კროსშტეინები.

4. გზებისა და ტროტუარების შეკეთება, საგზაო უსაფრთხოება

საექსპლუატაციო სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა გზებისა და ტროტუარების მიმდინარე, მათ შორის ორმოული, შეკეთება შემდეგ ქუჩებზე:

- აბაშიძის ქუჩა;
- ლეონიძის ქუჩა;
- ბაგრატიონის ქუჩა;
- კუპრაძის ქუჩის I შესახვევი;
- ერევნის ქუჩის II შესახვევი;
- ახალგაზრდობის გამზირი;
- წერეთლის ქუჩა.

ლეონიძის, აბაშიძის და ბაგრატიონის ქუჩებზე მიმდინარეობს საგზაო სარეაბილიტაციო სამუშაოები, აღებული იქნა მთლიანად ასფალტის საფარი, ეწყობა ახალი საკანალიზაციო და ღვარსადენის ცხაურები და ნოემბრის თვეში დაიგება ასფალტის ახალი ფენა, რაც დაიხაზება შესაბამისად და სურვილი გვაქვს აღიჭურვოს საპატრულო პოლიციის ვიდეო კამერებით.

ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო ახალგაზრდობის ქუჩის დასაწყისში. გაიწმინდა და გასუფთავდა მიმდებარე ტერიტორია.

მუნიციპალური ტრანსპორტისა და ქვეითთა უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით დაიხაზა ავტობუსების გაჩერებები და ქვეითთა გადასასვლელები.

წყალმომარაგების მილების შეკეთების შემდეგ დაზიანებული გზის საფარი აღდგა ბალანჩივაძის, ევდოშვილის, ჯორჯიაშვილის, ნიკო მარის, გოგოლის, რაზმაძის, ჭყონდიდელის, გურამიშვილისა, ჩორგოლიანის და შინდისის გმირების ქუჩებზე.

5. სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება

წყლის დაგროვებისა და დატბორვის რისკების შემცირების მიზნით გაიწმინდა სანიაღვრე არხები შემდეგ მისამართებზე:

- ახალგაზრდობის გამზირი №21;
- მახვილაძის ქუჩა №5 და №44–48;
- ლეონიძის ქუჩა №4 და №4ა;
- კუპრაძის ქუჩის II და VI შესახვევები;
- მახვილაძის ქუჩა №13-სა და №15-ს შორის მდებარე კიბის მიმდებარე ტერიტორია;
- მახვილაძის ქუჩა №17 და №19;
- დეპოს ქუჩა;
- აბაშიძის ქუჩა №2 და №4;
- გურამიშვილის ქუჩის დასაწყისი და ბოლო მონაკვეთები;
- ჭყონდიდელისა და გორის ქუჩების კვეთა.

ამასთანავე, სანიაღვრე სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად ცხაურები მოეწყო კუპრაძის ქუჩა №38-ის, ახალგაზრდობის გამზირი №21-ისა და მახვილაძის ქუჩა №5-ის მიმდებარედ.

6. წყალარინებისა და საკანალიზაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე ზრუნვა

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და წყლის დაგროვებით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, სხვადასხვა მისამართზე განხორციელდა შესაბამისი სარემონტო და საექსპლუატაციო ღონისძიებები.

წყლის დაგროვებისა და წყლის არასათანადო მიმართულებით დინების პრობლემებზე რეაგირება განხორციელდა შემდეგ მისამართებზე:

- კუპრაძის ქუჩის I შესახვევი №5;
- ახალგაზრდობის გამზირი №10, №12, №16 და №56;
- ბალანჩივაძის ქუჩა №13, №37, №2/2 და ბალანჩივაძისა და ლეონიძის ქუჩების კვეთა;
- შინდისის გმირების ქუჩა №13, №19, №20 და №32;
- ევდოშვილის ქუჩა №114;
- ბალანჩივაძის ქუჩა №2/6;
- დეპოს ქუჩა №28 და დეპოს ქუჩის III ჩიხი;
- რაზმაძის ქუჩა №46 და №37;

- გოგოლის ქუჩა №51 და №91;
- ნეკრასოვის ქუჩა №85;
- გურამიშვილის ქუჩა №4, №18, №1 და №51;
- მახვილაძის ქუჩა №10, №13, №44 და №11-ის მიმდებარე ტერიტორია;
- ჩორგოლიანის ქუჩა №6 და №8;
- ევდოშვილის ქუჩის X შესახვევი №2;
- ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევი №29-ის მიმდებარე ტერიტორია, ატეესის სიახლოვეს;
- ლეონიძის ქუჩა №6/19 და №5;
- ჯორჯიაშვილის ქუჩა №45, №4 და №31;
- ბაგრატიონის ქუჩა №5;
- თამარ მეფის ქუჩა №90;
- ბალანჩივაძის ქუჩის II შესახვევი №2-ის მიმდებარე კორპუსი;
- ევდოშვილის ქუჩის VIII შესახვევი №8, №7 და №6;
- ბალანჩივაძის ქუჩის I ჩიხი №8.

საკანალიზაციო სისტემების გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა შემდეგ მისამართებზე:

- გურამიშვილის ქუჩა №61;
- ჩორგოლიანის ქუჩა №14;
- მახვილაძის ქუჩა №22, №7, №9, №11, №13, №15 და №17;
- ახალგაზრდობის გამზირი №64, №90, №88, №92, №94, №86 და №86ა;
- ლეონიძის ქუჩა №1, №5 და №7;
- აბაშიძის ქუჩა №2, №4 და №6;
- ბალანჩივაძის ქუჩის II შესახვევი №6;
- წერეთლის ქუჩა №276 და №276ა;
- ბალანჩივაძის ქუჩა №2/1;
- ნეკრასოვის ქუჩა №11;
- კუპრაძის ქუჩის VI შესახვევი.

აღნიშნული სამუშაოები ხელს უწყობს წყალარინების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და საცხოვრებელ ტერიტორიებზე სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

7. ნარჩენების მართვა და ტერიტორიის დასუფთავება

მუნიციპალური გარემოს მოწესრიგებისა და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ნაგავშემკრები კონტეინერების განახლება.

კახიანოურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე დაზიანებული ნაგავშემკრები კონტეინერები შეიცვალა ახალგაზრდობის გამზირზე, წერეთლის, აბაშიძის, ლეონიძისა და ბაგრატიონის ქუჩებზე, აგრეთვე კუპრაძის ქუჩაზე.

მუხნარის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე 25 ძველი კონტეინერი ახლით ჩანაცვლდა.

8. მწვანე სივრცეების მოვლა და ტერიტორიის კეთილმოწყობა

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ტერიტორიის მოვლის, ბალახის გათიბვისა და ეკალ-ბარდებისგან გაწმენდის სამუშაოები.

სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ტერიტორიებზე:

- მახვილაძის ქუჩა №3, №5, №7, №9, №11, №13, №15, №17 და №19-ის მიმდებარედ;
- ახალგაზრდობის გამზირი №74, №76, №76ა, №78, №80, №19ა, №100, №100ა, №94, №92, №96, №62, №66 და №68-ის მიმდებარედ;
- ლეონიძის ქუჩა №4, №4ა, №5, №6 და №6ა-ის მიმდებარედ;
- საეკლესიო საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე;
- კუპრაძის ქუჩის II შესახვევში;
- ვ. კუპრაძის ქუჩა №18-ის მიმდებარედ, რკინიგზის სადგურთან გადასასვლელ კიბეებთან;
- ვ. კუპრაძის ქუჩაზე, საქალაქო სასამართლოს მიმდებარედ;
- კახიანოურის ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ახალგაზრდობის გამზირზე არსებულ გაზონებზე;
- წერეთლის ქუჩა №276-ისა და №276/40-ის მიმდებარედ;
- წერეთლის ქუჩაზე მდებარე სტადიონის ტერიტორიაზე;
- აბაშიძის, ბაგრატიონისა და გურამიშვილის ქუჩებზე;
- ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევი №29-ისა და გურამიშვილის ქუჩა №61-ის მიმდებარედ;
- ბალანჩივაძის ქუჩა №2/1, №2/2 და №2/6-ის მიმდებარედ;
- ბალანჩივაძის ქუჩის II შესახვევი №2, №4 და №6-ის მიმდებარედ;
- კუპრაძის ქუჩა №18, №20 და №35-ის მიმდებარედ;
- ახალგაზრდობის გამზირის V, VII და IX შესახვევებში, აგრეთვე ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელ მონაკვეთზე.

9. ხეების მოვლა და გასხვლა

მწვანე ნარგავების მოვლისა და უსაფრთხოების მიზნით, მაღალი ხეების გადაბელვისა და გასხვლის სამუშაოები ჩატარდა შემდეგ მისამართებზე:

- ლეონიძის ქუჩა №5 და №6;
- ბალანჩივაძის ქუჩის II შესახვევი №29;
- ხაბეიშვილის ქუჩა №36;
- ახალგაზრდობის გამზირი №44, №58, №62, №84 და №90;
- ახალგაზრდობის გამზირის I შესახვევი №12;
- ევდოშვილის ქუჩა №83;
- კუპრაძის ქუჩა №35 და №11;
- მახვილაძის ქუჩა №11 და №13;
- ბაგრატიონის ქუჩა №69.

10. ქვეწარმავლებისა და მავნებლების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები

მოსახლეობის უსაფრთხოებისა და საცხოვრებელი გარემოს დაცვის მიზნით, ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ ტერიტორიების ქიმიური რეპელენტით დამუშავება განხორციელდა შემდეგ მისამართებზე:

- ახალგაზრდობის გამზირი №84 და №100ა;
- მახვილაძის ქუჩა №13 და №15;
- ლეონიძის ქუჩა №5, №6, №6ა და №7;
- ბალანჩივაძის ქუჩა №2/1, №2/2 და №2/6;
- წერეთლის ქუჩა №276 და №276ა;
- ახალგაზრდობის გამზირის V შესახვევი, №14, №15, №15ა, №15ბ, №15გ და სხვა მითითებული მისამართების მიმდებარე ტერიტორია.

კრაზანების საწინააღმდეგო ხსნარით დამუშავება ჩატარდა ახალგაზრდობის გამზირის VII შესახვევის №108-ისა და V შესახვევის ტერიტორიებზე.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში კახიანოურის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა მონიტორინგი. მავნებლის შესაძლო გავრცელების შესასწავლად ხეებზე განთავსდა სპეციალური ფერომონიანი დამჭერი ხაფანგები და ტერიტორია რამდენჯერმე დამუშავდა შესაბამისი საშუალებებით.

მუხნარის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზეც რეგულარულად მიმდინარეობდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები

ახალგაზრდობის გამზირის III, IV, V, VI, VII, VIII, IX და XI შესახვევებსა და სადგურ „რიონის“ დასახლებაში.

აღნიშნული ღონისძიებები ემსახურება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას, ასევე მოსახლეობისთვის ხელსაყრელი საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნებას.

მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერა

სოციალური საკითხები კვლავ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. მიუხედავად განხორციელებული პროგრამებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსებისა, ქალაქში კვლავ არსებობს ოჯახები, რომლებსაც სოციალური და მატერიალური დახმარება ესაჭიროებათ.

მოქალაქეთა მომართვიანობა მაღალია როგორც ჩემს, მაჟორიტარი დეპუტატის, ასევე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ.

ყოველი კვირის სამშაბათს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალურ ერთეულებში ვატარებ შეხვედრებს მოსახლეობასთან, ვეცნობი მათ პრობლემებსა და საჭიროებებს, აღნიშნულზე დროული რეაგირება და მათთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენა ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

საანგარიშო პერიოდში, ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიღების მიზნით, ჩემი შუამდგომლობით შესაბამის სამსახურის მიერ დახმარება გაეწია 104 მოქალაქეს, ერთ მოქალაქეს ეთქვა უარი.

მუნიციპალიტეტში სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 455 ოჯახს;
- „გადაუდებელი რეაგირების“ პროგრამით ისარგებლა 17 ოჯახმა;
- სოციალური ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში, სააღდგომო და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით, სურსათის სასაჩუქრე პაკეტები გადაეცა 534 ოჯახს;
- სურსათის სასაჩუქრე პაკეტებით დახმარება გაეწია მრავალშვილიან ოჯახებს, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებსა და „მადლიერების სახლის“ ბენეფიციარებს;
- ზამთრის სეზონისთვის სათბობი შეშა გადაეცა 25 ოჯახს.

მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერა კვლავ საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და შესაბამისი რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ჩვენი მიზანია, დახმარება მიეწოდოს იმ ოჯახებსა და მოქალაქეებს, რომლებსაც იგი ყველაზე მეტად სჭირდებათ.

მიმდინარე პროექტები:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟის და ახალი ლიფტების მონტაჟი მიმდინარეობს:

- გრ. აბაშიძის N2, IV სადარბაზო 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
- გრ. აბაშიძის N4, I სადარბაზო 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლი

სამომავლო გეგმები და თანამშრომლობა

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის საფუძველზე ხდება მოსახლეობის საჭიროებების განხილვა, განსახორციელებელი პროექტების შეჯერება და პრიორიტეტების განსაზღვრა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს:

- ჩორგოლიანის ქ. N14-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, 970 კვ.მ ფართობზე იგეგმება რეკრეაციული სკვერის მოწყობა
- გრ. აბაშიძის N48-50-52 -ში მცხოვრები ოჯახებისათვის საყრდენი კედლის დაპროექტება.
- ირ. ევდოშვილის ქ. N83-ის უკან სპორტული მოედნის მოწყობა
- ხაბეიშვილის ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა
- კუპრაძის ქუჩის ჩასახვევებში სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება
- წერეთლის ქ. N 256-ის წინ მინი სპორტული მოედნის მოწყობა
- ახალგაზრდობის გამზ. N62-64-ს შორის მინი სპორტული მოედნის მოწყობა
- ლიფტების პროგრამით სარგებლობა (მომდევნო წელს ვგეგმავთ ოცამდე ლიფტის ახლით შეცვლას)
- ვლ. მაიაკოვსკის ხეივნის სანიტარული მოწესრიგება

- წერეთლის ქ. N 290-დან N312- მდე (ე.წ. დაჩებზე) გზის საფარის კეთილმოწყობა
- აკ. წერეთლის ქ. N 169-ის უკან სპორტული მოედნის რეაბილიტაცია
- ლომთათიძე - დეპოს ქუჩების კვეთაზე ღვარსადენის მოწესრიგება
- ახალგაზრდობის გამზირზე სამმაგი შუქნიშნის მოწყობა
- მუხნარის დასახლებაში ახალგაზრდობის VII შესახვევში (აქ ყველა შესახვევს 6-7 ერთი მისამართი აქვს) ღვარსადენის დაპროექტება და შემდეგ მოწესრიგება.

მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი სივრცეების განვითარებასა და მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების ეტაპობრივ გადაწყვეტას.

მნიშვნელოვანია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ქალაქში განხორციელებული მასშტაბური სამუშაოებიც. მნიშვნელოვანი რესურსები იხარჯება საგზაო ინფრასტრუქტურის, შენობების ფასადებისა და სკვერების მოწესრიგებაზე. ასევე დაგეგმილია ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც ქალაქის განვითარებასა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

გვჯერა, რომ მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების თანმიმდევრული განხორციელება ქუთაისს კიდევ უფრო კეთილმოწყობილ, უსაფრთხო და მოწესრიგებულ ქალაქად აქცევს.

დასკვნა

მინდა მადლობა გადავუხადო ქალაქ ქუთაისის მერს, დავით ერემეიშვილს, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს, მერის წარმომადგენლებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მომუშავე თითოეულ თანამშრომელს თანამშრომლობისა და გაწეული საქმიანობისთვის.

დასასრულს, მადლობას გიხდით თითოეულ თქვენგანს — ჩვენს ამომრჩევლებსა და თანამოქალაქეებს — გამოცხადებული ნდობისა და მხარდაჭერისთვის. სწორედ თქვენი ნდობა გვაკისრებს პასუხისმგებლობას, მაქსიმალური ძალისხმევით ვიმუშაოთ ჩვენი ქალაქისა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

მიმაჩნია, რომ არსებული შესაძლებლობებისა და რესურსების ფარგლებში ვაკეთებთ მაქსიმუმს, რათა ეტაპობრივად გადავჭრათ მოსახლეობის წინაშე

არსებული პრობლემები, განვავითაროთ ინფრასტრუქტურა და გავაუმჯობესოთ საცხოვრებელი გარემო.

ჩემთვის, როგორც მაჟორიტარი დეპუტატისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაცია, მათი პრობლემების მოსმენა და შესაბამისი რეაგირების ხელშეწყობა.

ჩვენი საქმიანობის მთავარი მიზანია თითოეული მოქალაქის ინტერესების დაცვა, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება და ქუთაისის განვითარებაში აქტიური მონაწილეობა.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
კახიანოურისა და მუხნარის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი
დეპუტატი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ლაშა გვენეტაძე

